პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 თებერვალი, კვირა, 1989 წ. № 30 (9949) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რუსთაველის საზოგადოება — სპორტსახკომში

**საქართველოს** სპორტსახკომის უზარმაზარ „მეურნეობას", კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი შეემატა — რუსთაველის საზოგადოება.

შვიდკაციანი, საინიციატივო ჯგუფი სპორტსახკომში ჯერ კიდევ გასულ წელს შეიქმნა. და აი, დამფუძნებელ კრებაზე (თავმჯდომარე — სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯანსუღ ბაგრატიონი, მდივანი — გრიგოლ რუხაია) პირველადმა ორგანიზაციამ არსებობა დაიწყო.

როგორც პირველი განაცხადები მოწმობს, სპორტსახკომის მუშაკების გარდა, რუსთაველის საზოგადოებაში ბევრი სახელოვანი სპორტსმენი და მწვრთნელი გაერთიანდება.

## ტრიუმფის წამი!

განმეორდება თუ არა ეს წამი ნინო სალუქვაძის ცხოვრებაში? სეულის ოლიმპიადა, ოქროს მედალი... არ მოიძებნება საქართველოში კაცი, მთელი გულითა და სულით ნინოს ამას რომ არ უსურვებდეს. ჩვენი მომხიბლავი ჩემპიონის პორტრეტებმა მოიარეს მთელი მსოფლიოს პრესის ფურცლები. და აი, ახლახან ნინოს სურათი ჟურნალ „ოლიმპიისკაია პანორამამ" გარეკანზე დაბეჭდა.




იური ბიკოვის ფოტო.

წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე და სსრ კავშირის ჩემპიონატი

# თბილისელთა ნადავლი მატულობს

**მკითხველმა** უკვე იცის, რომ თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, გაზეთის პრიზზე გამართულ ასპარეზობაში, ყველას აჯობა, ხოლო იმავე სახეობაში საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მისმა თანაგუნდელმა გიორგი შელიუგოვმა ერთგანაც და მეორეგანაც მეოთხე ადგილები დაიკავა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ჩვენი სპორტსმენისთვის ძირითადი სახეობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაა, მაშინ 3-მეტრიან ტრამპლინზე მათი გამოსვლა პრაქტიკულად არ უნდა განვსაჯოთ. ჩოგოვაძის გამარჯვება და მეორე ადგილი ხომ თავისთავად წარმატებაა.

ბუნებრივია, წარმატება იყო შელიუგოვის მეორე ადგილიც,



ირინა ლაშკო

რომელიც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაზეთის პრიზზე მოიპოვა.

ჩემპიონატის პროგრამით 3-მეტრიან ტრამპლინზე გამართულ ფინალურ შეჯიბრებაში, სავალდებულო ნახტომების შემდეგ წინ კიეველი ვალერი სტაცენკო იყო. მომდევნო ადგილებზე ჩოგოვაძე, შელიუგოვი და მინსკელი ალექსანდრ კოგოლევი განლაგდნენ. ნებისმიერი პროგრამით პირველივე ნახტომის შემდეგ შელიუგოვმა და კოგოლევმა ადგილები გაცვალეს. რიგით მეშვიდე ნახტომი შელიუგოვმა ბრწყინვალედ შეასრულა და მეორე ადგილზე გადავიდა, ხოლო ჩოგოვაძე — მესამეზე. მერვე ნახტომის შემდეგ თბილისელებმა კვლავ ადგილები გაცვალეს. მეცხრე გამოსვლის შემდეგ ფინალისტები ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: ჩოგოვაძე, სტაცენკო, კოგოლევი, შელიუგოვი., ამის მერე შელიუგოვი მეოთხე ადგილზე საბოლოოდ დამკვიდრდა. ხოლო სტაცენკომ, რომელიც სულ ლიდერობდა და მხოლოდ ერთხელ გადავიდა მეორე ადგილზე, სტატუსკვო აღადგინა და გაიმარჯვა კიდეც.

თუ ორივე სიმაღლის ტრამპლინზე გამოსვლათა შედეგებს შევაჯამებთ, ყველაზე მეტ ქებას სვერდლოვსკელი ირინა ლაშკო იმსახურებს.

მან 1-მეტრიან ტრამპლინზე როგორც გაზეთის პრიზზე, ისე ჩემპიონატში, მეორე ადგილები დაიკავა, ხოლო 3-მეტრიან ტრამპლინზე ორივე შეჯიბრებაში ოქროს მედლები მოიგო. ლაშკომ მაყურებლებიცა და სპეციალისტებიც განსაკუთრებით მაშინ მოხიბლა, როცა 3-მეტრიან ტრამპლინზე მეცხრე ნახტომი —გამორბენით ორნახევარი ბრუნი უკან მოხრით —შეასრულა.

— ამ ნახტომს მოხრით თითოოროლა სპორტსმენი თუ ასრულებს, — ამბობს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი ელენა ვაიცეხოვსკაია, რომელიც თბილისში „სოვეტსკი სპორტის" სპეციალურ კორესპონდენტად მოგვევლინა. — ირინამ კი თავის მეცხრე ნახტომისთვის მსაჯებისგან ერთსულოვნად რვაბალიანი შეფასება დაიმსახურა, ასეთი ნახტომის კარგად შესრულება თითქმის შეუძლებლად მეჩვენებოდა.

გუშინ დილით სპორტსმენები 10-მეტრიან კოშკზე გადაინაცვლეს. სარბიელზე გამოვიდნენ ქალები, რომლებიც გაზეთის პრიზისთვის იბრძოდნენ.

აქ ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად ძირითადად ორი სპორტსმენი — ზაპოროჟიელი ინგა მიროშინა და თბილისელი მოსწავლე ანა როსტიაშვილი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) იბრძოდა. მცირე უპირატესობით მეორე ადგილი წილად ხვდა ათინინას — 379,95. როსტიაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — 377,20.



ანა როსტიაშვილი

რაც შეეხება გამარჯვებულს, იგი მოსკოველი ოლგა მირონენკო გახდა — 390,27.

ამ სახეობაში კიდევ ორი თბილისელი — დიანა მჭედლიძე (353,88) და ნანა ნებიერიძე (348,39) — გამოდიოდა. მათ შესაბამისად მეექვსე და მეთერთმეტე ადგილები დაიკავეს და საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

თბილისელი 81-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელი ნებიერიძისთვის, ეს, რა თქმა უნდა, დიდი პატივია.

საღამოს, საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გამართულ ასპარეზობაში, მირონენკომ და აფონინამ ადგილები გაცვალეს. მესამე ადგილზე კვლავ როსტიაშვილი გავიდა.

**ნათელა ხოშტარია,**
ავტორის ფოტოები.

## ჭერჭეროვით 9 მედალი — ჩინებულია!

**საქართველოს** ძიუდოისტების დიდი წარმატებით მიმდინარეობს კრემენჩუგში ჭაბუკებისა და გოგონების საკავშირო პირველობა. შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა, ჩვენს სპორტსმენებს კი უკვე 9 მედალი აქვთ მოპოვებული.

ნინო ქუცნიაშვილმა (სოფელი დიღომი) მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის 7 შეხვედრა ჩაატარა, ყველა წმინდად მოიგო და, რასაკვირველია, პირველი ადგილი მოიპოვა. ქვემძიმე წონაში უძლიერესი გახდა თბილისელი ნინო მარჯანიშვილი, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ირმა მელიქიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

უკვე ორი ჩემპიონი ჰყავს ჭაბუკთა გუნდსაც. ქუთაისელმა ვალერი კიბორძალიძემ არავის დაუთმო პირველობა ქვემძიმე წონაში, ხოლო მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა თბილისელ შალვა ბექაურს.

ქვემძიმე წონაში კიდევ ორი პრიზიორია: რუსთაველმა ვეფხია ავალიანმა მეორე, ხოლო თამაზ ცქიფურაშვილმა (გარდაბნის რაიონი) მესამე ადგილი მოიპოვეს.

დანარჩენი ორი ბრინჯაოს მედალი ახმეტელი გრიგოლ გავარდაშვილის (82 კგ) და რომან უძილაურის (მძიმე წონა) წილად მოდის.

## ზედიზედ მეხუთე გამარჯვება

**მას** შემდეგ, რაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივე ჯორჯ ფორმენი ორი წლის წინ დაუბრუნდა რინგს (იგი ახლა 40 წლისაა), უკვე 15 მატჩი გამართა და მართლაც გასაოცარი შედეგები აქვს.

ჯერ ფორმენი ფრთხილობდა, ნაკლებად ცნობილ მოკრივეებს ხვდებოდა, შემდეგ კი უფრო გათამამდა. მან ყველა, 15 მატჩი მოიგო და ახლა 60 მოგება და 2 წაგება აქვს პროფესიულ რინგზე.

ამ დღეებში როჩესტერში ფორმენმა უკვე პირველივე რაუნდში ნოკაუტში გაისტუმრა მარკ იუნგი. ისე, რომ კრივის მიმომხილველებს უკვე სასაცილოდ აღარ მიაჩნიათ ფორმენის პრეტენზიები — უახლოეს ხანებში მატჩში შეხვდეს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს მაიკ ტაისონს. თვით ტაისონი ჯერჯერობით საკმაოდ ირონიულად ეკიდება ვეტერანის ამ განზრახვას.

### ტელეტაიპი-მკითხველს

**ტოკიო.** ოსაკაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაზე „ოლიმპიადა-88" ჩემპიონმა, დონეცკელმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ დარბაზების მსოფლიო რეკორდი 603 სმ სიმაღლემდე „აიყვანა".

ბუბკამ სანტიმეტრით გაზარდა ტაშკენტელ როდიონ გატაულინის მიღწევა, რომელმაც მხოლოდ ერთი კვირა გაძლო.

**ნიუ-იორკი.** ავსტრალიელმა სიუზან მალაკსოსმა ყველას აჯობა... ნიუ-იორკის ცათამბჯენ „ემპაიერ სტეიტ ბილდინგის" კიბეზე არბენის მე-12 ყოველწლიურ ასპარეზობაში. 27 წლის სპორტსმენმა 101-სართულიანი შენობის 86 სართული 12 წუთსა და 24 წამში დაძლია და წუთით გააუმჯობესა ოთხი წლისწინანდელი რეკორდი. ქალთა შეჯიბრების 17 მონაწილეს 1575 საფეხური უნდა აერბინა. იგივე რაოდენობა უნდა დაეძლია 70 ვაჟსაც, რომელთა შორის იყო 77 წლის იტალიელი ჩიკო სიმონე. გამარჯვება კი აქაც ავსტრალიელ სპორტსმენს — რობინ რიჩოურტს დარჩა.

## სსრ კავშირი — კანადა

**მეტალურგთა** ქალაქში გუშინ დამთავრდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება დაძმობილებულ ქალაქებს რუსთავსა და სენტ-ჯონსს შორის

მეტალურგებმა ღონისძიების პირველი დღიდანვე უარი თქვეს შიდა საქალაქო ტრანსპორტზე. სამუშაო ადგილებამდე ფეხით მიდიოდნენ. მათ პირველივე დღეს მარსამდე 9 ათასი პირობითი კილომეტრი გაიარეს..

სპორტული ზეიმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილენი ისევ ბავშვები იყვნენ. „მეტალურგის" სტადიონზე მოეწყო ასპარეზობა — „მხიარული სტარტები", რომელშიც ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა. პატარები სამთვლიანი ველოსიპედებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მათი მონაწილეობა გამაჯანსაღებელ მოძრაობაში ყველაზე სასიხარულო ფაქტია, რადგან ნორჩები აქედანვე უნდა მივაჩვიოთ ჯანსაღი და მოძრავი ცხოვრების წესს.





▲ ◄ რუსთავში გამართული მასობრივი ღონისძიებების ფრაგმენტები. ►

რაჟდენ გაბრიჭიძის ფოტოები.



ერთი კვირის განმავლობაში მძიმე დატვირთვით იმუშავეს „მეტალურგისა" და „ქიმიკოსის" სპორტული კომპლექსების მოედნებმა, საცურაო აუზებმა. აქ გაიმართა ასპარეზობები მინი ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მოეწყო შეჯიბრებები საბურავების დაბერვაში.

გუშინ ჩატარდა შიდასაქალაქო კროსი, რომელსაც, სტარტი მიეცა ახალგაზრდობის პარკთან და დასრულდა „მეტალურგის" სტადიონზე. აქვე გამართული შეჯიბრებების შემდეგ მოეწყო პირველი დაუსწრებელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების საზეიმო დახურვა.

**გოჩა კაპილაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარება წინსვლას ამუხრუჭებს

# სპორტსმენის ლუკმა მტაცებს

**ეს ამბავი ამ რამდენიმე თვის წინათ გახმაურდა. საქართველოს სპორტსახკომმა გამოავლინა უხეში მიუტევებელი დარღვევები სპორტსმენებისათვის კვების ტალონების აღრიცხვისა და გაცემის მეურნეობაში. ფაქტობრივად გამოირკვა, რომ ეს საქმე ხელმიშვებული იყო, ანგარებიანი ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სპორტსმენებისთვის, იმ მოზარდებისთვისაც კი, რომლებიც დღეში სამჯერ ორ-ორი და სამ-სამი საათი ვარჯიშობენ, ლუკმა წაეგლიჯათ.**

**ზემოაღნიშნულ** ფაქტზე მკაცრად იმსჯელა სპორტსახკომის კოლეგიამ. დამნაშავენი დაისაჯნენ და ამის შესახებ ჩვენ „ლელოს" მკითხველებს ვაუწყეთ კიდეც (26 ნოემბერი, 1988 წ.). მაგრამ მკითხველთა დიდი ნაწილი გვთხოვს უფრო დაწვრილებით მოვუთხროთ იმის შესახებ თუ რა მოხდა, მით უმეტეს ეს ფაქტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მასალებშიც აისახა (იხ. „ლელო", 4 თებერვალი, 1989 წ.).

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ მთელი ჩვენი ხალხი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რაოდენ დიდ დაინტერესებას იჩენენ სპორტსმენების პრობლემების მიმართ, როგორ აფასებენ მათ დიდ გარჯას. საერთო ზრუნვა-ყურადღება იგრძნობა არა მხოლოდ იმ სპორტსმენების მიმართ, რომლებსაც მთელს მსოფლიოში გააქვთ საქართველოს სახელი და წარმოაჩენენ ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებებს, არამედ ისინიც, ვინც ლიდერების კვალს მიჰყვებიან, ვინც ხვალ და ზეგ უნდა იტვირთოს ქართული სპორტის ტრადიციების გაღრმავება და განმტკიცება.

და აი, ასეთ ვითარებაში, ეს თითქოს წარმოუდგენელიცაა, გამოჩნდნენ ადამიანები, თანაც არა ვინმე სხვა, არამედ სპორტის მუშაკები, რომლებიც ხელს ითბობდნენ სპორტსმენების ხარჯზე, მათთვის გამოყოფილ კვების ტალონებზე. ამ ვაიმუშაკებს სულაც არ ემწარებოდათ სპორტსმენებისთვის წაგლეჯილი ლუკმა. ირგვლივ კი ისეთი ატმოსფერო იყო შექმნილი, რომ, ვისაც კონტროლი და საფინანსო დისციპლინის დაცვა მოეთხოვებოდა ან ვერ ხედავდა ან არ სურდა არ დაენახა როგორი განუკითხაობა სუფევდა მათ საუწყებო რგოლში. პირველ ყოვლისა მხედველობაში გვყავს საუწყებათაშორისო ოლიმპიური მომზადების ცენტრის კოლექტივი. სწორედ ამ ორგანიზაციამ ცენტრალიზებულად მოუყარა თავი სპორტსმენთა კვების ტალონებს და თავადვე ჩაუდგა სათავეში მის განაწილებას. ცხადია, გაუგებარია, რატომ მოხდა ასე, რატომ გაურთულეს საქმე სპორტსმენებს, ისინი ხომ დიდ დროს კარგავდნენ ევლოთ ტალონების მისაღებად. დროს იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ სპორტსმენები აკითხავდნენ ამ ტალონების გაცემაზე პასუხისმგებელ მუშაკს ო. ჯავახიშვილს ის კი... ხშირად სამსახურში არ იყო. მეტიც, მისი კაბინეტის კარები, როგორც გამოირკვა მთელი კვირითაც ყოფილა გამოკეტილი. მერე კი სპორტსმენებს ტალონებსაც აკლებდნენ. ყოველივე ამან გამოიწვია სპორტსმენთა სამართლიანი უკმაყოფილება. რატომ ხდებოდა ასე? გაირკვა ისიც, რომ ტალონების მიღება-გაცემაში ჩართული იყვნენ მატერიალურად არაპასუხისმგებელი მუშაკები. მომხვეჭელები იქამდეც მივიდნენ, რომ სპორტსმენებს შეუვსებელ უწყისებზე აწერინებდნენ ხელს. 1209 ტალონიდან, რომელიც უნდა მიეღო 16 მოზარდ სპორტსმენს, არ გაცემულა 876. გამოვლინდა აგრეთვე 4159 მანეთის ტალონების უკანონო გაცემა და 452 მანეთი დანაკლისი. როგორც გაირკვა ცენტრში სტიქიურად ითვისებდნენ ლიმიტებს, რაც გამორიცხავდა მის რაციონალურად გამოყენებას.

**ამონაწერი სპორტსახკომის კოლეგიის დადგენილებიდან:** „საუწყებათაშორისო ოლიმპიური მომზადების ცენტრში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ ცენტრის ხელმძღვანელი ბ. ბაყანოვი, ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი ე. მიაგკოვა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლების ხელმძღვანელები ო. მდივანი (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი), თ. ჭუბაბრია, ნ. ერაძე, ე. მაჩაიძე, მ. ჯულელი დაუშვებელ გულგრილობას იჩენდნენ და არ ახორციელებდნენ ქმედით კონტროლს ამ უბანზე სრული წესრიგის დასამყარებლად. ნეგატიური მოვლენებისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა იმან, რომ ხელოვნურად იყო შექმნილი ტალონების გაცემის რგოლი".

ასეთია ოფიციალური შეფასება. მაგრამ ჩვენს მკითხველებს აწუხებს ამ ფაქტის ზნეობრივი მხარეც — რატომ ხდება, რომ დღევანდელ პირობებში კვლავ შესაძლებელია ასეთი დარღვევები?

დაბოლოს სასჯელების შესახებ. სპორტსახკომის კოლეგიამ ო. ჯაკახიშვილი გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. ბ. ბაყანოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და დაისვა თანამდებობაზე მისი დატოვების მიზანშეუწონლობის საკითხი. ე. მიაგკოვას თანამდებობაზე დატოვების საკითხი განსახილველად გადაეცა უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 1 რესპუბლიკურ სკოლას. 336 მანეთის კვების ტალონების დანაკლისის გამო ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ხელმძღვანელებს განსახილველად გადაეცა ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე თ. ცომაია და მწვრთნელ გ. გედევანიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. ო. მდივანს, ნ. ერაძეს, ე. მაჩაიძეს, მ. ჯულელს გამოეცხადათ საყვედური. უფროს რევიზორებს მ. ოთარაშვილს და ბ. ბარამიძეს მიეცათ შენიშვნა. სპორტსახკომის სამმართველოს უფროსებს ჟ. მანჯგალაძეს და გ. ნადირაშვილს მიეთითათ.

დასახულია კონკრეტული ღონისძიებები სპორტსმენების კვების ტალონების აღრიცხვისა და გაცემის სისტემის სრულყოფისა და ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარებისათვის.

**რედაქციისაგან: ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ გადასახედი და მოსაგვარებელია სპორტსმენთა კვების საკითხი. არ არის დასამალი, რომ სპორტსმენების ლუკმის წამგლეჯთა შორის არიან იმ ობიექტების ვაჭრობის მუშაკებიც, სადაც სპორტსმენები იკვებებიან. ვინაიდან სპორტსმენისთვის საჭირო კვების პროდუქტების ასორტიმენტი ბევრგან ძალზე ღარიბია, ვაჭრობის მუშაკები სპორტსმენებს თანხმდებიან ტალონის ფულზე გადახურდავებაზე. ოღონდ მათ ისინი აძლევენ არა ტალონის სრულ ღირებულებას, არამედ ნაწილს. ხომ არ დადგა დრო სპორტსმენებმა პირდაპირ თავიანთ ორგანიზაციებში ფულად მიიღონ მათთვის გამოყოფილი თანხა და არა ტალონის სახით? ასეთი ნაბიჯი, რამდენადაც ვიცით, უკვე გადადგა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ და ტალონის სანაცვლოდ მიღებული ფულით სპორტსმენები იმ პროდუქტებით, ხილით და წვენებით იკვებებიან, რაც მათ აუცილებლად სჭირდებათ. და კიდევ ერთი, რატომ არის უყურადღებოდ მიტოვებული სპორტულ ობიექტებზე სასადილოები და ბუფეტები? ვიმეორებთ, ის ასორტიმენტი, რომელიც მათ გააჩნიათ, ვერაფრით ვერ აკმაყოფილებს სპორტსმენთა მოთხოვნებს. ამას გარდა, არის ობიექტები, სადაც სასადილო მუშაობას ამთავრებს საღამოს 7 საათზე და ბევრი ნაკრები გუნდის წევრები უვახშმოდ რჩებიან. უკეთეს შემთხვევაში ისინი ბუფეტებიდან იღებენ „მშრალ" პროდუქტს, რითაც ირღვევა სწორი კვების, როგორც სპორტსმენთა მომზადებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის ფუნქცია.**

**სპორტსმენები და მწვრთნელები პასუხს მოელიან აგრეთვე კითხვაზე: რატომ ხდება, რომ რესპუბლიკის გარეთ თითოეული სპორტსმენისთვის გამოყოფილი კვების თანხა სავსებით საკმარისია მთელი დღის რაციონისთვის, ჩვენს კვების ობიექტებში კი იგივე თანხა მხოლოდ სადილს თუ გასწვდება?**

საქართველოს მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატი

# მეტოქეები კი წინ მიიწევენ

**შარშან** დეკემბერში გამართული საქართველოს მოცურავეთა თასის გათამაშების შედეგები საკმაოდ კრიტიკულად შევაფასეთ. მას შემდეგ ორიოდე თვე გავიდა და თბილისში, ვაკის საცურაო აუზში წლევანდელი სპორტული სეზონის პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატიც გაიმართა. რა თქმა უნდა, ორ თვეში ჩვენი მოცურავეები და მათი მწვრთნელები მუშაობას კარდინალურად ვერ გარდაქმნიდნენ და შედეგებსაც მნიშვნელოვნად ვერ გააუმჯობესებდნენ. ამიტომ უპრიანი იქნება თუ ახლახანს გამართული ჩემპიონატის შედეგებს შარშანდელი ანალოგიური ასპარეზობის მაჩვენებლებს შევადარებთ.

რას გვიჩვენებს ასეთი შედარება? სამწუხაროდ, კარგს არაფერს!

შარშან ჩვენმა მოცურავეებმა,



შოთა დავითაია.

დაახლოებით ამავე დროს გამართულ ასპარეზობაში, რვა სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენეს. ასეთი მაჩვენებლები ოთხი მოცურავის ანგარიშზე მოდიოდა. ახლა ასეთი შედეგები წამმზომებმა მხოლოდ ოთხჯერ დააფიქსირეს, სპორტის ოსტატის ნორმატივის შემსრულებელთა რაოდენობა კი ერთით შემცირდა.

პროგრამის ზოგიერთ სახეში, ისე როგორც შარშანდელ ანალოგიურ ასპარეზობაში, მეორე-მესამე ადგილების დასაკავებლად II თანრიგის შედეგებიც საკმარისი აღმოჩნდა.

ჩვენ წლევანდელი და შარშანდელი ჩემპიონატების ყველა შედეგი შევადარეთ. აღმოჩნდა, რომ პროგრამის ზოგიერთ სახეში წლევანდელ გამარჯვებულებს შარშანდელ ჩემპიონატზე უკეთესი დრო უჩვენებიათ, მეორე ნაწილს კი პირიქით — გაუუარესებია.

ეს ყველაფერი ერთი ადგილის ტკეპნას გვაგონებს. არადა, ერთ ადგილზე დგომა ჩამორჩენას ნიშნავს — მეტოქეები ხომ წინ მიიწევენ.

ამ შეჯიბრებაზე განსაკუთრებული ინტერესით თვალყურს ვადევნებდით თბილისელ როლანდ ხვადაგიანის (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) გამოსვლას, რადგან ამ ახალგაზრდა მოცურავეზე დიდ იმედებს ვამყარებდით. ეს იმედები უსაფუძვლო რომ არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ იგი საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს და შარშან გამართულ ასპარეზობებში თავიც გამოიჩინა.

ხვადაგიანმა წლევანდელ ჩემპიონატში სპორტის ოსტატის ნორმატივი მხოლოდ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შეასრულა. ამასთან, შარშანდელ ანალოგიურ ასპარეზობაზე ნაჩვენები შედეგები 2 წამით გააუარესა, ხოლო 200-მეტრიანი დისტანცია 4 წამით გვიან გაცურა. ამასთან, მან ჩემპიონობაც დაკარგა. ერთგანაც და მეორეგანაც მას თბილისელმა იგორ არტიომოვმა (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური სპორტსკოლა) აჯობა, თანაც საკმაო უპირატესობით.

სამწუხაროდ, ისიც კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები თბილისელებს, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, სერიოზულ წინააღმდეგობას კარგა ხანია ველარ უწევენ. არადა, წინათ, დიდი ხნის წინათ, აქაური მოცურავეები რესპუბლიკურ და საკავშირო ნაკრებსაც ჩინებულ სპორტსმენებს აწვდიდნენ.

ამ ასპარეზობაში აჭარისა და აფხაზეთის გუნდებმა მხოლოდ ხობელებს აჯობეს.

რაც შეეხება ხობს, აქ მშვენიერი საწყლოსნო კომპლექსის აგებას დიდი იმედებით შევხვდით, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ზამთრობით წყლის გათბობა გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მხოლოდ „საჭყუმპალაოს" გათბობით, ბუნებრივია, ხობელები ფონს ვერ გავლენ. ისინი ვერც თავიანთ თავს არგებენ რამეს და, რაღა თქმა უნდა, ვერც რესპუბლიკურ ნაკრებს.

ეს ყველაფერი, ცხადია, არ შეიძლება რომ არ გვაღელვებდეს, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ამ ასპარეზობის ყველა შედეგს მუქი სათვალით შევხედოთ.

თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა თბილისელმა დიანა სვინჩენკომ („დინამო"). მან სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შარშან შეასრულა და ოსტატობა ახლაც დაამტკიცა, როცა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 1.15,97 აჩვენა და ჩემპიონი გახდა. ამასთან, მე-20 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ 50-მეტრიან დისტანციაზე საქართველოს გოგონათა რეკორდიც (35,0) დაამყარა.

სვინჩენკო 14 წლისაა და იგი უდავოდ პერსპექტიულ მოცურავედ გვესახება.

მათ შორის, ვინც საქართველოს ჩემპიონი გახდა, ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ სვინჩენკოს თანასკოლელი, მეშვიდეკლასელი თამრიკო კიკნაძე და 25-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე მარგარიტა საფარიანი (ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). პირველმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით, ხოლო მეორემ 100 და 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში გაიმარჯვა.

ერთიცა და მეორეც ცამეტი წლისანი არიან და, ამდენად, ვფიქრობთ, მათ კარგი პერსპექტივა აქვთ.

ახალი ჩემპიონებიდან უნდა გამოვყოთ თბილისის 183-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი მოსწავლე შოთა დავითაიაც (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), რომელმაც ყველას აჯობა 50 და 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში.

პერსპექტიულ სპორტსმენებს თუ რიგიანად ავარჯიშებენ, საქართველოს ნაკრები საკავშირო სარბიელზე, ვფიქრობთ, დაწინაურდება. იქნებ დრო დადგეს და ჩვენც აღარ მოგვიხდეს საყვედურებით წერა.

**ავთანდილ ჭყვიშელი.**
**ავტორის ფოტო.**

განიხილავენ რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშების შედეგებს

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

# ზუგდიდი

**ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ 1988 წლის 24 დეკემბერს აღმასკომის სხდომამ განიხილა საკითხი რესპუბლიკის IV ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში ქალაქის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგების შესახებ და დაისახა მომავალი ასპარეზობებისათვის ქალაქის ნაკრები გუნდების უკეთ მომზადების ღონისძიებები.**

**თამაშებში ქალაქის სპორტული დელეგაციის გამოსვლა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. ამასთან აღინიშნა, რომ თამაშებმა გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებები ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში, ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტის განვითარებასა და ქალაქში სპორტული რეზერვების მომზადების საქმეში. გამოვლინდა შეცდომები სასწავლო-საწვრთნო პროცესის ორგანიზაციაში, არ არის მოგვარებული კონტროლის სისტემა, არ იგრძნობა გარდაქმნა მუშაობაში და დაავალა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტს, განათლების განყოფილებას, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. გარდაქმნის მოთხოვნათა გათვალისწინებით უპასუხისმგებლობის, ფორმალიზმის გამოვლენის ყოველ ფაქტს მისცენ მკაცრი და პრინციპული შეფასება, აამაღლონ არსებულ სპორტულ ნაგებობათა გამოყენების ეფექტიანობა, მიიღონ ზომები ფიზიკური კულტურის სფეროში ფასიანი მომსახურების შემდგომი განვითარებისათვის.**

**ადგილობრივი გაზეთის რედაქციას დაევალა ფართოდ გააშუქოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის პრობლემები, ასპარეზობისათვის მზადების მიმდინარეობა და შედეგები.**

ალექსანდრე იზორია,
ალმასკომის თავმჯდომარე.

# შერჩევა ჩაიშალა გადაიდო

**ალბათ** გასაგებია, რა მნიშვნელობა ჰქონდა 1969-70 წელს დაბადებულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკურ პირველობას ახლა, IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშების წინ. მაგრამ მან ვერ იტვირთა ის ფუნქცია, რომელსაც მწვრთნელები ვარაუდობდნენ. მიზეზი ის იყო, რომ უამინდობით გამოწვეულ გზებზე შეფერხებების გამო თბილისში ვერ ჩამოვიდნენ მოჭიდავეები დასავლეთ საქართველოდან და მონაწილეთა შემადგენლობა განახევრდა. ცხადია, ამის გამო ვერ მოხერხდა სპორტსმენთა შერჩევა რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის.

როგორც ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ეს უფრო მოგვიანებით მოხდება, კერძოდ, ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირზე, რომელიც კრასნოდარში გაიმართება. ამავე დროს ეს იქნება მსოფლიო პირველობის შესარჩევი შეჯიბრება. სადაც გამოვა ჩვენი რესპუბლიკის ყველა უძლიერესი ახალგაზრდა ფალავანი, დაახლოებით 25 სპორტსმენი.

დღეს კი გაცნობებთ ფალავანთა კლუბში ჩატარებულ ღია რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულთა ვინაობას (თბილისში გამოდიოდნენ ბელორუსელი სპორტსმენები და ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ ვ. კარპოვსკიმ გაიმარჯვა კიდეც. სხვა ქვემოჩამოთვლილი სპორტსმენები თბილისელები არიან).

**48 კგ.** გელა პაპაშვილი; **52.** თენგიზ რზოიანი; **57.** გია ჭაჭაშვილი; **62.** დიმიტრი კურცხალია; **68.** აკაკი ჩაჩუა; **75.** ვიქტორ კარპოვსკი; **82.** ტარიელ გურგენიძე; **90.** რამაზ გადაბაძე; **100.** ნაიბო დვალიძე; **მძიმე წონა.** ბესიკ ჩანჩიბაძე.

ბეისბოლი და მისი პერსპექტივები

# როგორ „გაიჭრა ფანჯარა ევროპაში“

EUROPEAN AMATEUR BASEBALL CONFEDERATION

**თქვენ** იცით, რა მოხდა პარიზში, ბოქონის ქუჩის №14 სახლში, ამა წლის 28 იანვარს? მხედველობაში მაქვს სასტუმრო „პალმან ვინძორი“, ეტუალის სიახლოვეს.

ფრანს-პრესის სააგენტომ ძალზე ძუნწი ინფორმაცია მოგვაწოდა იმის შესახებ, რომ სწორედ აქ შედგა სამოყვარულო ბეისბოლის ევროპის კონფედერაციის ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობის არჩევნები, და რომ სამ არჩეულ ვიცე-პრეზიდენტს შორის ბეისბოლის საბჭოთა ფედერაციის თავმჯდომარე რამაზ გოგლიძეც გახლავთ.

მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ამ ძუნწი სტრიქონების მიღმა! ევროპის „საბეისბოლო“ სამყარომ ჩვენი ქვეყანა თავის სწორად აღიარა და მეტიც — საბჭოთა კავშირში სპორტის ამ სახეობის სულ უფრო მზარდი პოპულარობა, საყოველთაო ინტერესი, მისაბაძად მიიჩნიეს. თუმცა თავად რამაზ გოგლიძე კონფედერაციის ხელმძღვანელობაში ოთხი წლის ვადით არჩევას მიიჩნევს მხოლოდ როგორც ავანსს და საწინდარს ჩვენში ბეისბოლის ფართო განვითარებისათვის.

როგორ მოხდა ეს?

ფრანგული გაზეთები სოლიდურ „საბეისბოლო სახელმწიფოთა“ რამდენიმე წარმომადგენელს შორის გამართულ წინასაარჩევნო ტურებში ჩვენი კანდიდატის გამარჯვებას თავისებურად უხსნიან მკითხველს: „რამაზ გოგლიძე სპორტის ხელმძღვანელობაში საბჭოთა კავშირში ცნობილი პიროვნებაა და საუკეთესო პროფესიული თვისებები გააჩნია“. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ „ბრძოლისთვის“ ყველა მეტოქე გაცილებით უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი. ყველა კანდიდატი არჩევნებზე საკუთარი „გულშემატკივრებით“ — მცირერიცხოვანი, მაგრამ წარმომადგენლობითი დელეგაციით ჩავიდა. წინასწარ იყო მომზადებული სარეკლამო ფურცლები, რომლებშიც მომხიბვლელად მომღიმარი კანდიდატის ფოტოსურათის გვერდით დაბეჭდილი იყო სახოტბო და აბსოლუტურად არაორაზროვანი ტექსტი — მომეცით მე ხმა და არ წააგებთ! მაგალითად, დანიელი კანდიდატის ჟიულ დე პიერის ფურცელში, გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილია ის სასწავლებლები, რომლებიც მას დაუმთავრებია, მისი პროფესიული კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღები, ევროპის სამოყვარულო ბეისბოლის ხელმძღვანელობაში მისი მონაწილეობა, ის ენები, რომლებსაც იგი ფლობს და სხვ., მოთავსებულია მონაცემები მისი ოჯახური მდგომარეობის, ვაჟიშვილის გატაცებების შესახებ და ა. შ. ჩვენი კანდიდატის ერთადერთი სარეკომენდაციო ბარათი გახლდათ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მიერ პარიზში გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რ. გოგლიძე დასახელებულია სამოყვარულო ბეისბოლის ევროპის კონფედერაციის ხელმძღვანელობის კანდიდატად საბჭოთა კავშირიდან.

უნდა ითქვას, რომ კონფედერაციის ხელმძღვანელობის წევრობა არა მხოლოდ პრესტიჟული, არამედ მეტად მნიშვნელოვანიცაა. ეს გზას გვიხსნის ბეისბოლის სხვა საერთაშორისო საზოგადოებებისკენ და, მაშასადამე, ამტკიცებს საბჭოთა ბეისბოლის პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე.

როცა არჩევნების დამთავრების შემდეგ უკვე ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ ჩვენ თანამემამულეს ვკითხე, ძალიან თუ გინდოდათ, აერჩიეთ-მეთქი, მან სრულიად უბრალოდ მიპასუხა: ჩვენი სპორტის ინტერესებისთვის საჭირო იყო, რომ ცება-ს ხელმძღვანელობაში უთუოდ მოხვედრილიყო საბჭოთა წარმომადგენელი, ჩემს გარდა კი იქ არავინ იყო“.

იგი მართლაც მარტო იყო პარიზში — სოციალისტური ბანაკის ერთადერთი წარმომადგენელი, ერთადერთი კომუნისტი, ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა „საბეისბოლო“ ქვეყნის წარგზავნილი.

გამარჯვება სულ რაღაც რამდენიმე წამში მოვიდა. როდესაც ბეისბოლის საბჭოთა ფედერაციის წარმომადგენელს შესთავაზეს თვითონვე წარედგინა საკუთარი თავი, რადგან, უბრალოდ, სხვას არავის შეეძლო ამის გაკეთება, მან მხოლოდ ეს თქვა: „მე აქ მარტო ვარ, მაგრამ ეულად არ ვგრძნობ თავს, თქვენ ყველანი ჩემთან ერთად ხართ — თქვენ ხომ ჩემი მეგობრები ხართ! დარწმუნებული ვარ, ხმებს მე მომცემთ“. თქვა და დაჯდა. ფრანგმა ჟურნალისტებმა დაასკვნეს: „რამაზ გოგლიძე დახელოვნებული დიპლომატია!“

ასე რომ, საბჭოთა ბეისბოლმა „ევროპაში ფანჯარა გაჭრა“. კონგრესის მეორე დღესვე რამაზ გოგლიძემ, ისარგებლა რა ვიცე-პრეზიდენტის პრიორიტეტული უფლებებით, ცება-ს ტექნიკური კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა საბჭოთა მწვრთნელი, სსრ კავშირის ბეისბოლისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე არდატოვი. დამუშავების სტადიაშია წინადადება ცება-ს შემდგომი კონგრესის თბილისში ჩატარების შესახებ...

...პარიზში მომხდარი ამბავი ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ხოლო საბჭოთა ბეისბოლის განვითარების თვალსაზრისით — ისტორიულადაც კი. სწორედ ამიტომ ვიყვებით ასე დაწვრილებით ამის შესახებ. მაგრამ არანაკლებ დაწვრილებით საუბარს მოითხოვს ბეისბოლისა და ბეისბოლისტების მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში. დღეს არამარტო საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც არსებობს ბეისბოლის ფედერაცია (თავმჯდომარე ზეზვა ღუღუნიშვილი), რომელიც ყველა ღონეს ხმარობს ამ თამაშის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, მაგრამ იგი მაინც ბევრ სიძნელეს აწყდება, ჯერჯერობით ბევრი მიზანი რჩება განუხორციელებელი. უწინდებურად მოსაგვარებელია სათამაშო მოედანთან, ტანსაცმელთან, ინვენტართან დაკავშირებული პრობლემები.

თუმცა ამაზე შემდგომში ვისაუბროთ.

**პეპი ბოჭორიშვილი.**



**თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა ხარკოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში 10 შესაძლებლიდან 8 ქულა აიღეს. შინ დაბრუნებისთანავე ვესაუბრეთ დინამოელთა უფროს მწვრთნელს გივი ჩიქვანაიას.**



სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# პოტენცია პოტენციად რომ არ დარჩეს

**⊙ ამ შედეგით, ალბათ, კმაყოფილი ხართ?**

— არა, კმაყოფილი არა ვარ!

**⊙ კი მაგრამ, სეზონის ასეთი კარგი დასაწყისი, თუ არ ჩავთვლით შარშანწინდელი პირველი ტურის შედეგებს მოსკოვში, სადაც ასევე 8 ქულა ავიღეთ, თბილისელებს მრავალი წელია არ ჰქონიათ. უფრო სწორედ, სპეციალისტებიც კი ველარ იხსენებენ თბილისელებმა უკანასკნელად როდის მოაგროვეს ამდენი ქულა პირველ ტურში. ახლა ქართველი წყალბურთელები, მოსკოველ თანაკლუბელებთან ერთად, ჩემპიონატს ლიდერობენ.**

— დღეს ქულებზე მეტად თამაშის ხარისხი უფრო მაინტერესებს. კერძოდ, ის თუ როგორ ასრულებენ წყალბურთელები ჩემს დავალებებს.

**⊙ მერედა, როგორ ასრულებენ შეგირდები თქვენს დავალებებს?**

— ცუდად. ძნელი დასამორჩილებელი გუნდია. ისე თამაშობენ, როგორც თავად ესმით, ხშირად ექსპერიმენტს მიმართავენ, ცდილობენ საუკეთესო წყალბურთელებს მიბაძონ. რა გამოდის აქედან? არაფერი! შეცდომას შეცდომა მოსდევს. მაგალითად, როცა წყალბურთელს ვეკითხები, რატომ ითამაშე ისე, და არა ასე, როგორც დაგარიგეთ-მეთქი, მპასუხობს, კარგ გაგრძელებას ვხედავდიო. მე კი ვცდილობ დავაჯერო, რომ გუნდმა ამა თუ იმ სიტუაციაში ისე უნდა ითამაშოს, როგორც ეს ვარჯიშზე გვაქვს დამუშავებული. გუნდის ნახევარი ასეც თამაშობს, ნაწილი კი... ჩვენ ახლა ექსპერიმენტების დრო არა გვაქვს. როგორც იტყვიან, ბორბალი თავიდან არ უნდა გამოვიგონოთ. თამაშისას ექსპერიმენტს შეიძლება მიმართოს ისეთმა ძლიერმა გუნდმა, როგორიც, ვთქვათ, მოსკოვის „დინამოა“. თუ ექსპერიმენტი არ გაუმართლებს, შეცდომას უმალ ნაცადი ხერხით გამოასწორებს, ჩვენ გუნდს კი ამის გაკეთება ძალზე გაუჭირდება.

**⊙ მოგებული თამაშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისელებს გამარჯვება გაუჭირდათ. მათ მინიმალური ანგარიშებით მიაღწიეს წარმატებას. სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდთან ეს კიდევ გასაგებია, რადგან იგი ჩვენი ქვეყნის, და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია, მაგრამ ხარკოველ, ბაქოელ და სევასტოპოლელ წყალბურთელებთან ასე არ უნდა გაგვჭირვებოდა.**

— ანგარიშების მიხედვით მართლაც ისე ჩანს, თითქოს გამარჯვებები გაგვიჭირდა, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ყველა მოგებულ თამაშში ანგარიში ორი-სამი ბურთის სხვაობით მიგვყავდა. სამწუხაროდ, თბილისელებს სამბურთიანი დაწინაურება, როგორც იტყვიან, თავბრუს ახვევს და ყურადღებას უდუნებს. არა ერთი შემთხვევა მახსოვს, როცა მათ ლამის უკვე მოგებული მატჩი მეორედ მოსაგები გახდომიათ. ეს გუნდის ძველი სენია.

**⊙ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად მოსკოველ მეზღვაურებთან შეხვედრა აინტერესებთ.**

— ამ შეხვედრაში ანგარიში ჩვენ გავხსენით. მერე მოსკოველები ერთხანს დაწინაურდნენ — მატჩს 4:2 გვიგებდნენ. ბოლოს ინიციატივას კვლავ დავეუფლეთ, თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე შეხვედრას ორი ბურთის სხვაობით ვიგებდით. მეტოქემ სწორედ ამ დროს სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

**⊙ მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრაზე რას იტყვით?**

— სამწუხაროდ, ჩვენებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ მათთან გამარჯვება შეიძლება. ამიტომ მოსკოველებთან შეხვედრა სუსტად დავიწყეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ბრძოლა სულ სხვაგვარად დამთავრდებოდა. სხვათა შორის, ვერც მოსკოველებს წარმოუდგენიათ, რომ ამ მეტოქესთან წაგება შეიძლება. მათ კიდევ შევხვდებით და ეს ფსიქოლოგიური მომენტი უთუოდ უნდა გამოვიყენოთ. მთავარია, თბილისელები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამარჯვების რწმენით გამოვიდნენ. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში შევძლებთ ძლიერი მეტოქის დამარცხებას. გავიხსენოთ თუნდაც მოსკოვის „დინამოსა“ და სევასტოპოლელთა მატჩი, სადაც ამ უკანასკნელებმა გაიმარჯვეს და ყველა გააოცეს. ჩვენი გუნდის პოტენციური შესაძლებლობები გაცილებით მეტია. ეს შესაძლებლობები რომ გამოვიყენოთ, მუშაობაც მეტი გვმართებს.

**⊙ ჩვენი გუნდის დებიუტანტებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვეს?**

— ორი დებიუტანტი გვყავდა — გონაძე, რომელიც თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტსკოლიდან მოვიწვიეთ და დავითიანი (იგი „დინამოს“ სპორტსკოლაში ვარჯიშობდა). გონაძის შესახებ აზრის გამოთქმა ნაადრევია. მას ხარკოვში ბევრი არ უთამაშია, დავითიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და დებიუტანტის კვალობაზე კარგადაც ითამაშა. პერსპექტიული ბიჭი ჩანს. თუ მონდომებით ივარჯიშებს, კარგი წყალბურთელი დადგება. მის გარდა კარგად ითამაშეს მეკარე გიორგაძემ, რამიშვილმა და სხვებმა. თავის შესაძლებლობებზე სუსტად ჩაატარეს შეხვედრები კანდელაკმა, მაჭავარიანმა, მეორე გიორგაძემ...

* * *

გუშინ თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები ხანმოკლე შეკრებაზე ბაკურიანს გაემგზავრნენ. მერე ისინი თბილისში გააგრძელებენ ვარჯიშს და 21 თებერვლიდან ბაქოში მეორე ტურის შეხვედრებში ჩაებმებიან.

იმედია, ჩვენი წყალბურთელები მონაპოვარს განიმტკიცებენ.

**საუბარი ჩაიწერა ავთანდილ გურასაშვილმა.**

**სურათზე: თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი, მათი მწვრთნელი გივი ჩიქვანაია და მეორე მწვრთნელი ჯუმბერ წიკლაური (უკანა პლანზე).**

ავტორის ფოტო.

ტურნირის ექო

# ორი ჩემპიონი და ექვსი პრიზიორი

**თავისუფალი** სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა (1972-1973 წლებში დაბადებულნი) საკავშირო პირადგუნდურ საუწყებო პირველობას ამჯერად ლატვიის ქალაქი დაუგავპილსი მასპინძლობდა. ტურნირში მონაწილეობდა 250 ნორჩი ათლეტი, მათ შორის ოცდათერთმეტი ჩვენი რესპუბლიკისა, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებისა და უწყების ნაკრებ გუნდებში იყვნენ ჩარიცხულნი.

გუნდური პირველი ადგილი, საკმაოდ დიდი უპირატესობით, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ მოიპოვა — 68 ქულა, მომდევნო ადგილები წილად ხვდათ: „შრომით რეზერვებს“ — 32, „დინამოსა“ — 24 და შეიარაღებულ ძალებს — 9 ქულა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ, გამოიყვანეს ადგილები რესპუბლიკებს შორის. აქ პრიზიორთა სამეული ასე გამოიყურება: 1. რუსეთის ფედერაცია—50 ქულა, 2. საქართველო — 34, 3. უკრაინა — 21.

პირად ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის რვა მოჭიდავე პრიზიორთა შორის მოხვდა (ორი — პირველი, ორი — მეორე, და ოთხი— მესამე ადგილი). მათგან უნდა გამოვყოთ ჩემპიონები.

**58 კგ.** აქ ეჭვს არ იწვევდა შარშანდელი ევროპის ჩემპიონის ზაზა ზოზიროვის (გორი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) გამარჯვება, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა შვიდივე შეხვედრა, სამი წმინდად მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. ზოზიროვი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის და სპორტის ოსტატ ირაკლი ჯიოშვილის აღსაზრდელია.

**97 კგ.** ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ზვიად ლოლუა (თბილისი, „დინამო“) ცხადია, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდა. მან ოთხივე ბრძოლა ქულებით მოიგო და ჩემპიონი გახდა (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოდერძი ფასურიშვილი).



ზაზა ზოზიროვი.



ზვიად ლოლუა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან მეორე ადგილები მოიპოვეს: 81 კგ-ში — იგორ ბიჩინოვმა (ცხინვალი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და [illegible] კგ-ში — დიმიტრი აბრამიშვილმა (ხაშური, „შრომითი რეზერვები“), მესამე ადგილებზე კი გავიდნენ: 58 კგ-ში —კახაბერ ლევიძე (ქუთაისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), 68 კგ-ში—დავით ხაბელაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), 74 კგ-ში — ელდარ კურტანიძე (სოხუმი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და 97 კგ-ში — კახაბერ ლაჭავა (თბილისი, არმიის სპორტკლუბი).

აღსანიშნავია, რომ ზვიად ლოლუა, დავით ხაბელაშვილი და კახაბერ ლაჭავა განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის, ხოლო დიმიტრი აბრამიშვილი რესპუბლიკის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები არიან.

# კანჩენჯანგაზე

**ნეპალში** გაემგზავრა მეორე საბჭოთა ჰიმალაის ექსპედიცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული რვაათასიანი კანჩენჯანგას ოთხი მწვერვალის ტრავერსი. კანჩენჯანგას, რომელიც 1955 წელს ჩარლზ ევანსის ხელმძღვანელობით ინგლისელებმა დაიპყრეს ნეპალის მხრიდან, ტექნიკური სირთულის მარშრუტები არ გააჩნია, ამიტომ ჩვენს მესიმაღლე-მთამსვლელებს გადაწყვეტილი აქვთ მისი ოთხი მწვერვალის სრული ტრავერსი. ისინი გაივლიან მთავარ მწვერვალს — 8585 მ, სამხრეთის — 8491 მ, ჩრდილოეთის — 8478 და იალუნგ-კანგს (დასავლეთის) — 8505 მ.

ტრავერსის ცალკეული მონაკვეთები უკვე გავლილი აქვთ სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელებს: ყველაზე რთული — საშუალო და მთავარ მწვერვალს შორის თხემი კი გაუვლელია და ექსპედიცია, რომელშიც 26 ალპინისტია, 3-4 დღეში აპირებს მის დაძლევას. უშუალოდ მწვერვალთა დასალაშქრავად წავა ექვსი-რვა მთამსვლელი, მათი შერჩევა ადგილზე მოხდება. ისინი სამხრეთ მწვერვალიდან დაიწყებენ ასვლას მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, ვიდრე იქ ზაფხულის მუსონები დაიწყება.

კანჩენჯანგის ექსპედიციაში არიან ცნობილი ალპინისტები, ევერესტის დამპყრობნი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ს. ბერშოვი, მ. ტურკევიჩი, ვ. ბალიბერდინი, ქ. ვალიევი და ვ. ხრიშჩატი.

ჭადრაკი

# ქეთევან კახიანმა დაიბრუნა ლიდერობა

**ორიოდე** დღის წინ, ტელეფონით საუბრისას, ქეთევან კახიანის მწვრთნელმა გიორგი მაჭარაშვილმა უხალისოდ გვითხრა, მას შემდეგ, რაც ქეთინომ ლიდერობა იგდო ხელთ, ვერც ერთი პარტია ვერ მოიგოო. მართლაც, VIII ტურიდან მოყოლებული ტალინის მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში კახიანი მხოლოდ ყაიმებს სჯერდებოდა და დათმო კიდეც I ადგილი. თუმცა, ციგანოვასთან გადადებული პარტიის მოგების შემთხვევაში შეეძლო გაესწრო პრუდნიკოვასა და ფომინასთვის, მაგრამ ამის მიუხედავად, ქეთევანმა მაინც გაუსწრო ერთ-ერთ ლიდერს. ეს XIII ტურში მოხდა. ფომინამ შავი ფიგურებით დაამარცხა პაასიკანგასი, ხოლო კახიანი, ასევე შავი ფიგურებით, პრუდნიკოვას ხვდებოდა. გათამაშდა ნიმცოვიჩის დაცვა. შავებმა თანდათან გააძლიერეს პოზიცია და მეტოქის მეფის ფრთაზე მიიტანეს იერიში. 24-ე სვლაზე კახიანმა კუს ლამაზი შეწირვა განახორციელა. პრუდნიკოვა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული იყო მიეღო „ძღვენი". 27-ე სვლაზე კი თეთრებმა საათი გააჩერეს.

როგორც იტყვიან, კახიანს მეორე სუნთქვა გაეხსნა და ბოლოსწინა ტურშიც ლამაზი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად მან პიარნპუუ დაამარცხა. ქეთევანმა ამ შეხვედრაშიც ფიგურა შესწირა მეტოქეს, მაგრამ ამჯერად მისმა მოწინაღმდეგემ არ მიიღო ეს „საჩუქარი" და 26-ე სვლაზე წინააღმდეგობა შეწყვიტა. კვლავ მოიპოვა გამარჯვება ფომინამაც. მან რანიკუს მოუგო. პრუდნიკოვამ კი ზოლმანოვას სძლია.

გუშინწინ გვიან საღამოს ქეთევან კახიანმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა თავის აქტივში და დაიბრუნა ერთპიროვნული ლიდერობა. იმ საღამოს გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. როგორც გახსოვთ, კახიანს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა ციგანოვასთან შეხვედრაში, მაგრამ სპეციალისტები მაინც ყაიმს ვარაუდობდნენ. მაგრამ ტალინელმა ოსტატმა არასწორი გეგმა აირჩია, რითაც კარგად ისარგებლა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ ქეთევან კახიანს 11 ქულა აქვს, ტალინელ ტატიანა ფომინას 10,5, სვეტლანა პრუდნიკოვას (სარატოვის ოლქი) — 9,5.

ბოლო XV ტურში ერთმანეთს ხვდებიან მარსელა ზოლმანოვა (2,5 ქულა) — კახიანი, ოტილია განტი (8) — ფომინა, ტულიკი ლაესონი (7) — პრუდნიკოვა.

# ლიდერთა ჯგუფში „სიმჭიდროვეა"

**სულ** სამი ტური რჩება თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობის დამთავრებამდე. მიუხედავად ამისა საპრიზო ადგილებზე გასვლის პრეტენზიას ერთდროულად ათი მოჭადრაკე აცხადებს, რაც ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებისთვის არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა.

XII ტურში საინტერესო გამოდგა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების, ერევნელი საერთაშორისო ოსტატების ვლადიმერ აკოფიანისა და აშოტ ანასტასიანის შეხვედრა, რომელიც ანასტასიანის გამარჯვებით დამთავრდა.

დამარცხდა ჩვენი თანამემამულე ოსტატი გია გიორგაძეც. მას ნოვოსიბირსკელმა ოსტატმა ვადიმ რუბანმა მოუგო. ყაიმი აღინიშნა ნევეროვ-დრეევის პარტიაში.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: ეპიშინი-შაბალოვი — 1:0, დაუტოვი-რლი — 1:0, შიროვი-ულიბინი — 0,5:0,5. გადაიდო რეზონტალი-სავჩენკოსა და სერპერ-ტიმოშენკოს პარტიები.

12 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის არიან: ვალერი ნევეროვი (კიევი), რუსტემ დაუტოვი (მინსკი) — 7,5-7,5 (1-1), ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი) — 7, ალექსეი შიროვი (რიგა), მიხეილ ულიბინი (სვერდლოვსკი), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) — 6,5-6,5, ვლადიმერ აკოფიანი (ერევანი) — 6 (1), ლემბიტ ოლი (ტალინი) — 6, აშოტ ანასტასიანი (ერევანი) —5,5 (3), ალექსანდრე შაბალოვი (რიგა) —5,5 (1).

**თამარ ხუგაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

# პირველი დანაკარგი

**წყალტუბოში** გრძელდება მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. IX ტურში პირველი ნახევარი ქულა დაკარგა შეჯიბრების ერთპიროვნულმა ლიდერმა ქუთაისელმა ეკატერინე ფახიროვამ. ბათუმელი მოჭადრაკე დიანა დარჩია დაუზავდა. ახლა ფახიროვას 8,5 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ივეტა კურცხალია (ქუთაისი) და ინგა ხურციძე (წულუკიძე). სოხუმელმა ეკატერინე კემულარიამ 6,5 ქულა მოაგროვა, დარჩიამ — 5,5.

# კარპოვი-იუსუპოვი, ტიმანი-სპილმენი

**ასე** დაწყვილდნენ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ნახევარფინალისტები მას შემდეგ, რაც სამ მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებულს მეოთხეც შეუერთდა. ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა ანტვერპენში მიმდინარე მეოთხედფინალური ორთაბრძოლის VI პარტიაში დაამარცხა უნგრელი დიდოსტატი ლაიოშ პორტიში და მატჩი მოიგო ანგარიშით 3,5:2,5. პაექრობის დამთავრების შემდეგ პორტიშმა განაცხადა, რომ ამიერიდან იგი აღარ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო პირველობის მატჩებში. შეგახსენებთ, რომ 51 წლის პორტიშმა 1960 წლიდან რვაჯერ მიიღო მონაწილეობა პრეტენდენტთა მატჩებში.

ნახევარფინალური ორთაბრძოლები მოეწყობა მიმდინარე წლის ოქტომბერში ლონდონში.


**მინიფეხბურთის კლუბი „მრეტები"**

18-19 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში, „მრეტები" მართავს მინიფეხბურთის ორდღიან საკავშირო ტურნირს, სოლიდური საპრიზო ფონდითა და შოუს თანხლებით — გათამაშდება „მის მრეტების" პრიზი, რომლის შესარჩევ ეტაპსა და საბოლოო შედეგებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური, სსრკ სახალხო არტისტის გიგა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

**„მის მრეტების" კონკურსში მონაწილეობის მსურველებს!**

გთხოვთ, დროულად მოგვმართოთ საკონკურსო პირობების გასაცნობად: ოფისი: 380015, თბილისი, კონსტიტუციის მოედანი 1. სპორტის სასახლე, „მრეტები". ტელ: 36-23-04.


კვიმატი ობიექტივი





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ფეხბურთელები იტალიაში

**რომში** ჩავიდა სსრ კავშირის პირველი ნაკრები, რომელიც იტალიაში იწყებს წინასასეზონო მზადებას.

ადგილობრივმა კლუბმა „რომამ" მოაწყო საფეხბურთო ბლიცტურნირი. მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ნაკრების, „რომას", „პალერმოსა" და დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბრემენის „ვერდერის" გუნდები.

პირველი მატჩი საბჭოთა გუნდს „ვერდერთან" ჰქონდა. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანებით კი გაიმარჯვა „ვერდერმა" — 4:3. ჩვენი გუნდიდან ძირითად დროში გოლი გაიტანა იარემჩუკმა, ხოლო დამატებითი 11-მეტრიანებით — ზიგმანტოვიჩმა, ბელანოვმა და ლიტოვჩენკომ. დემიანენკოს მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია ბრემენელთა მეკარემ.

საბჭოთა ნაკრები მესამე ადგილისთვის შეხვდა „პალერმოს". ჩვენი გუნდი გაძლიერდა იმით, რომ მატჩში მონაწილეობისთვის ტურინის „იუვენტუსიდან" ჩამოვიდა ზავაროვი. ეს მატჩი საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 3:0, ორი ბურთი გაიტანა პროტასოვმა, ერთი — ბელანოვმა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „რომა" და „ვერდერი" (პირველ დღეს „რომამ" ანგარიშით 2:0 დაამარცხა „პალერმო"). რომაელებმა ფინალშიც წარმატებას მიაღწიეს და ანგარიშით 5:2 დაამარცხეს „ვერდერი".

რომში გამართული ტურნირის დღეებში საბჭოთა ფეხბურთელები ეწვივნენ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს. აქ ჩვენს სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ორგკომიტეტის პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეცემოლომ განაცხადა, რომ მოხარული იქნება 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც იხილოს საბჭოთა ფეხბურთელები იტალიაში.

ამ შეხვედრაზე ჩვენს ფეხბურთელს ოლეგ პროტასოვს გადასცეს სპეციალური პრიზი „ჩემპიონატის ბურთი". ორგკომიტეტის ყოველთვიური გამოცემა „ჩემპიონატის" გამოკითხვის შედეგად ჟურნალისტებმა ო. პროტასოვი იანვრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს მსოფლიოში.

სსრ კავშირის ნაკრები რომიდან მილანს გაემართა, სადაც „ინტერის" ბაზაზე განაგრძობს მზადებას.

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### საბერძნეთი

**მე-17 ტური.** „კალამარია" — აეკი 0:1, „დიაგორა — „პანათინაიკოსი" 0:2, „დოქსა" — „ეთნიკოსი" 1:1, „ვოლოსი" — „არისი" 1:1, „ოლიმპიაკოსი" — „ირაკლისი" 0:0, „ოფი კრეტა" — „ლევადიაკოსი" 2:1, „პანიონისი" — „ლარისა" 0:0, „პაოკი" — „აპოლონი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| აეკი | 17 | 24-9 | 25 |
| „ოლიმპიაკოსი" | 17 | 32-13 | 24 |
| „ირაკლისი" | 17 | 28-17 | 22 |

### თურქეთი

**მე-20 ტური.** „სარიერსპორი" — „კონიასპორი" 2:0, „ანკარაგიუჯუ" — „ესკიშეჰირსპორი" 1:2, „რიზერსპორი" — „ბურსასპორი" 2:1, „ტრაბზონსპორი" — „კარსიაკა" 2:0, „ალტაი" — „ფენერბახჩე" 0:3, „გალათასარაი" — „საკარიასპორი" 1:1, „კაჰრამანი" — „ადანასპორი" 2:2, „დემირსპორი" — „მალატიასპორი" 1:0, „სამსუნსპორი" — „ბოლუსპორი" 0:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფენერბახჩე" | 20 | 50-14 | 49 |
| „ბეშიქთაში" | 19 | 47-9 | 47 |
| „ბოლუსპორი" | 20 | 37-21 | 39 |

### პორტუგალია

**23-ე ტური.** „ფაფე" — „სეტუბალი" 0:0, „მადეირა" — ამადორა" 0:1, „შავიში" — „სპორტინგი" 2:1, „ბრაგა" — „ბოავიშტა" 0:2, „ბეირა მარი" — „ბენაფიელი" 2:1, „ლეიქსოეში" — „ესპინიო" 4:0, „პორტო" — „გიმარაეში" 0:0, „ბენფიკა" — „პორტიმონენსე" 3:0, „ბელენენსეში" — „ვისეუ" 3:0, „ფარენსე" — „მარიტიმო" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 23 | 34-10 | 36 |
| „პორტო" | 23 | 26-12 | 33 |
| „სპორტინგი" | 23 | 31-17 | 28 |

### იტალია

**მე-15 ტური.** „ატალანტა" — „ინტერი" 1:1, „ჩეზენა" — „ლეჩე" 3:2, „ფიორენტინა" — „რომა" 2:2, „ვერონა" — „სამპდორია" 1:1, „მილანი" — „პიზა" 0:0, „ნაპოლი" — „ასკოლი" 4:1, „ლაციო" — „იუვენტუსი" 0:0, „პესკარა" — „ბოლონია" 3:1, „ტორინო" — „კომო" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 15 | 23-5 | 26 |
| „ნაპოლი" | 15 | 31-11 | 23 |
| „სამპდორია" | 15 | 19-9 | 20 |

### ესპანეთი

**მე-20 ტური.** „სევილია" — „ბილბაო" 0:0, „ატლეტიკო" — „ლოგრონიესი" 2:0, „კადისი" — „სელტა ვიგო" 1:1, „მალაგა" — „მურსია" 1:3, „ესპანიოლი" — „ბარსელონა" 2:2, „ელჩე" — „ვალიადოლიდი" 1:0, „ვალენსია" — „სარაგოსა" 2:2, „სპორტინგი" — „ბეტისი" 0:0, „სან სებასტიანი" — „ოვიედო" 0:0, „ოსასუნა" — „რეალი" შეწყდა და გადათამაშდება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 19 | 46-20 | 32 |
| „ბარსელონა" | 20 | 44-16 | 31 |
| „ატლეტიკო" | 20 | 36-23 | 24 |

### ჰოლანდია

**მე-19 ტური** „ვეენდამი" — „ცვოლე" 2:6, „ტილბურგი" — „სპარტა" 1:1, „დენ ბოში" — „ტვენტე" 1:0, „ვენლო" — „როდა" 1:2, „ვალვიკი" — „ვოლენდამი" 5:1, „აიაქსი" — „სიტარდი" 2:0, „ეინდჰოვენი" — „ფეიენოორდი" 1:0, „მაასტრიხტი" — „ჰარლემი" 4:0, „გრონინგენი" — „უტრეხტი" 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 19 | 41-16 | 31 |
| „აიაქსი" | 19 | 43-21 | 28 |
| „ტვენტე" | 19 | 28-15 | 23 |

### ბელგია

**მე-19 ტური.** „შარლერუა" — „ბრიუგე" 1:1, „ბეერსკოტი" — „სენტ ტრუდენი" 1:0, „რესინგ გენკი" — „ანტვერპენი" 1:1, „სერკლ ბრიუგე" — „ვარეგემი" 3:0, „ბევერენი" — „სტანდარდი" 1:0, „კორტრიკი" — „ლოკერენი" 1:1, „რესინგი მეხელენი" — „ანდერლეხტი" 0:4, „მოლენბეკი" — „მეხელენი" 0:4, „ლიეჟი" — „ლიერსი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეხელენი" | 19 | 38-12 | 32 |
| „ანდერლეხტი" | 19 | 50-17 | 30 |
| „ანტვერპენი" | 19 | 38-23 | 28 |

### ლუქსემბურგი

**მე-15 ტური.** „გრევენბახერი" — „ნიდერკორნი" 3:1, „სპორა" — „პეტინგენი" 2:1, „დიფერდინგენი" — „ჰესპერანგე" 2:2, „ეიშენი" — „ჟენესი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჟენესი ეში" | 14 | 35-3 | 23 |
| „უს ლუქსემბ." | 15 | 21-10 | 21 |
| „სპორა" | 14 | 35-11 | 20 |

(საქ. ინფ.)

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 06 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 4-5 თებერვალს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.620.460 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (149) მოგება 364 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (3.978) — 27 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (46.683) — 8 მანეთი.

06 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 25 თებერვლიდან 25 მარტის ჩათვლით.


რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07121